

განცხადება: საჯარო განხილვა


ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკოპინგის ინფორმაციისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ფარგლებში

6 ივნისი, 2019, 18:00, #2 საჯარო სკოლა, სოფელი ვაზიანი, მარტყოფის ადმინისტრაციული ერთეული
7 ივნისი, 2019, 18:00, ვალიკო ბერიძის სახლი, მუხროვანის დასახლება, ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული

სამგორის სამხრეთ თალის საბადოზე მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, საქართველო

პროექტის შესავალი

საქართველო დაახლოებით 99,5 %-ით არის დამოკიდებული იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე (გაზზე). ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევროკავშირის მიერ დადგენილი გაზით უსაფრთხო მომარაგების კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით, საქართველოს, გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში, უნდა გააჩნდეს მინიმუმ 30 დღიანი რეზერვი და შეეძლოს ზამთრის პერიოდში მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს რომ ანალოგიური პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ყველაზე რაციონალური საშუალებაა ნავთობის ან გაზის გამომუშავებულ საბადოს ბაზაზე მიწისქვეშა საცავის მოწყობა და ამგვარად გაზის სტრატეგიული მარაგის შექმნა. აშშ-ში, ამჟამად, ფუნქციონირებს 400-მდე მიწისქვეშა გაზსაცავი; უამრავი მიწისქვეშა გაზსაცავი არსებობს ევროპაში და ჩვენს მეზობელ ქვეყნებში: აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში და ა.შ. ამჟამად, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელსაც გაზსაცავი არ გააჩნია.



სამგორის სამხრეთ თალის საბადო (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) ექსპლუატაციაშია 1979 წლიდან და მისი მარაგი ამოწურულია. 1990-იან წწ. და შემდგომ ჩატარებული წინასწარი კვლევების მიხედვით, საბადო აკმაყოფილებს გაზსაცავის მოწყობისათვის საჭირო ყველა ძირითად პირობას. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ დაიქირავა გამოცდილი საერთაშორისო საინჟინრო კომპანია, რომელმაც 2015-2016 წწ. დამატებითი საინჟინრო, გეოლოგიური და სამოდელო კვლევები ჩაატარა და მოამზადა სამგორის სამხრეთი თალის საბადოს ბაზაზე მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის პროექტის ტექნიკური განხორციელებადობის ანალიზი.

გაზსაცავის ადგილმდებარეობის სავარაუდო განთავსების (ქვემო ქართლის რეგიონი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, 20 კმ თბილისის აღმოსავლეთით) ადგილის მიმდებარედ არსებული დასახლებებია სოფელი ვაზიანი და მუხროვანი.

გაზსაცავის პროექტი შედგება 2 ფაზისგან: 1. **“შესწავლის ფაზა”** მოიცავს ორი საკვლევი ჭაბურღილის მოწყობასა და ტესტირებას (რასაც დასჭირდება დაახლოებით 1 წელი). თუ ამ ფაზის შედეგად დადასტურდება, რომ პროექტი ტექნიკურად განხორციელებადი და ბუნებრივი და სოციალური გარემოსათვის უსაფრთხოა, დაიწყება პროექტის 2. **“განხორციელების ფაზის”** განხორციელება, რაც მოიცავს ახალი

ჭაბურღილების, გაზის გადამამუშავებელი ქარხნის, მილსადენების და ა.შ. მშენებლობას და ნავთობის მოპოვების მოძველებული საშუალებების ექსპლუატაციიდან გამოყვანას. აღნიშნულ სამუშაოებს დასჭირდება დაახლოებით 2,5 წელიწადი. გაზსაცავის ოპერირების ვადად განისაზღვრება მინიმუმ 20-30 წელი.

პროექტს აფინანსებს KfW განვითარების ბანკი. პროექტის თანადაფინანსებას გეგმავს ევროპის საინვესტიციო ბანკი EIB. ამჟამად, KfW და EIB-ის მოთხოვნების შესაბამისად, ხორციელდება **ბუნებრივი და სოციალური ზემოქმედების შეფასება. სკოპინგის მასალების საჯარო განხილვა არის აღნიშნული შეფასების ნაწილი.**

საჯარო განხილვის მიზანია ბუნებრივ და სოციალურ პირობებზე ფონურ მონაცემებში არსებული ხარვეზების გამოვლენის მიზნით ჩატარებული ანალიზის (სკოპინგის) შედეგების განხილვა და იმ ძირითადი პოტენციური პრობლემატური საკითხების/ზემოქმედების განსაზღვრა, რომლებიც შეფასების პროცესში დამატებით ანალიზს დაექვემდებარება და აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვა.

პროექტთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ <https://www.gogc.ge/en/project/gas-storage/43> ან/და დაუკავშირდით:

გიორგი ბიბინეიშვილი, საქართველოს გაზსაცავის კომპანიის პროექტის მენეჯერი
ტელ: (+995 32) 2 24 40 40 (574), მობ: (+995) 595 22 02 07, ელ-ფოსტა: g.bibineishvili@ggsc.ge
მისამართი: კახეთის გზატკეცილი 21, თბილისი, 0190, საქართველო